საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. შაბათი 12 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზ. ი დღის: 1 თვით 15 მანეთი [illegible] წინასწარ უცილებლად 75 კაპ. განცხადების ფასი, [illegible] —1 მან. [illegible] განცხადებები 25 მან. [illegible] 12 ს. [illegible] კორესპონდენციები.

[illegible] № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია. [illegible] რედაქციაში მიღება 10—12 საათამდე. რედაქცია [illegible] № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 82 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 82

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების ტფილისის შენის სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ამხ. გვარდიელებს და მოქალაქეთ, რომ კვირას 13 აპრილს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სომხეთ-საქართველოს ომის დროს სოფ. ეკატერინენფელდში 19 დეკემბერს გმირულად ბრძოლაში მოკლულ ამხ. გვარდიელ

კოტე (კონსტანტინე) ელიზბარის ძე შენგელიას

ხსოვნის აღსანიშნავად. პანაშვიდი გადახდილ იქნება ს. ქვაბიანში, მიცვალებულის სასაფლაოზე (იმერეთი) გამგზავრება მოხდება ქ. ტფილისიდან, შაბათს, 12 აპრილს, საღ. 7 ს. და 30 წუთ. მატარ. № 1. სამტრედიიდან დილის 9 საათზე, ოქონის ეკლესიასთან და თავის საკუთარი სახლთან გაგლით. (3—3)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზების სამმართველოს მოსამსახურე გვარდიელები: ალექსანდრე კვანტალიანი, ვასო კულუხაძე, რევაზ შალიკაშვილი, ვასო ხაჟალია, კოტე ბაბუციძე, ილია დევდარიანი, არჩილ ჯინჭარაძე, სიკო მეტრეველი, ალექსანდრე ქემოშიძე, პარმენ ლომაშვილი, დიმიტრი ალექსიძე, ვანო ახვლედიანი და ივანე ნაზარბეგოვი აუწყებენ ამხანაგთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 13 აპრილს სოფ. ქვაბიანში (იმერეთი) მიცვალებულის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სომხეთ-საქართველოს ომის დროს სოფ. ეკატერინენფელდში 19 დეკემბერს გმირულად ბრძოლაში მოკლულ თანამოსამსახურე—გვარდიელი

კოტე ელიზბარის ძე შენგელიას

ხსოვნის აღსანიშნავად. გამგზავრება ტფილისიდან სამტრედიაში შაბათს, 12 აპრილს № 1 მატარებლით. (2—2)

გულდამწვარი მეუღლე ნინა გიორგის ასული, შვილები: ანნა, მიხეილ, ილიკო, ელიკო, ნადია, ნათელა, ძმა მღვდელი იოკიმე და მარიამი, რძალი ანნა, სიდედრი დარია, შვილებით, ძმისწულები ნიკოლოზი, პეტრე, ბაბაკი, ვიქტორი, მარია, გიორგი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი

ესტატე გიორგის ძე ლომიძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 10 აპრილს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს. გამოსვენება საკუთარი ბინიდან (რუსთაველის ქ. № 27) ნაძალადევის ივერიის ღვთისმშობლის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე კვირას 13 აპრილს. (2—1)

გულდამწვარი ივანე და გიორგი ხ. [illegible] მეუღლეებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 10 აპრილს (ახ. სტ.) გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ბიძა

ესტატე გიორგის ძე ლომიძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 ს. გამოსვენება საკ. ბინიდან (რუსთაველის ქ. № 27) ნაძალადევის ივერიის ღვთის მშობლის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე კვირას, 13 აპრილს.

გულდამწვარი ადმირალი ბიცოლა ეკატერინე ხაშტარია, დაობლებული პაწია შვილი არკაშა, რძალი ფუცუ ხაშტარია, დები: მარიამ პაპკარია, ოლღა გაგნიაშვილი და ფაშუტა ხაშტარია, ბიძის შვილი ვასო ხოშტარია მეუღლით და შვილებით უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავმეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი

საშიკო ანდრიას ასული კალანდარიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება შაბათს, 12 აპრილს ფოთის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

მწუხარებაში ძლიერ დედა ლიუდი, ძაი ლეონიკე და ძმა ძიხკო, ბიძაშვილები ვასო, სანდრო და ანეტა ვანიძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ორშაბათს, 13 აპრილს (ახ. სტილით) ს. წითელ მთის ეკლესიაზე (გურიაში) გადახდილ იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარის

დათიკო ალექსანდრეს ძე ვანიძის

სულის მოსახსენებლათ, რომელიც გმირულად დაიღუპა ფრონტ ანარიაზე ბრძოლის დროს. (2—1)

გულდაწყვეტილი და დამწუხრებულნი: მეუღლე ხუშკა, შვილები: სოლომონი, შალიკო, საშა, მარუსია, ნატაშა და თამარა ჯაფარაშვილები, ცოლისძმები დავით და კოლა ქუტიაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 12 აპრილს, დილის 11 ს. ქ. ხაშურში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო ძვირფას და დაუვიწყარ

ვასილ იოსების ძე ჯაფარაშვილის

სულის მოსახსენებლად.

მე 4 რაიონის სახალხო გვარდიის შტაბი მწუხარებით აუწყებს ამხანაგთ და მეგობრებს, რომ 8 აპრილს, საღამოს 11 საათზე ვერაგულად ავაზაკის მიერ თავის მოვალეობის დროს მოკლულ იქმნა მისადმი რწმუნებულ რაიონის გვარდიელი

გიორგი ზაქარიას ძე ტატულოვი

დაკრძალვა მოხდება 12 აპრილს, 12 საათზე ვერის სომეხთა სასაფლაოზე.

ღრმათ დამწუხრებული ბიძა იაკინთე, დეიდა ანეტა, დეიდაშვილები მაშა, შალვა, ალიოშა, გუგუშა ცქიტიშვილები, ნადია და ანდრია პეპანაძეები, ლენა წერეთელისა, ქეთო და სერგო მეძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

დავით (დ. თიკო) დარისპანის ძე ლეჟავას

უდროოთ გარდაცვალებას. დღეს, 12 აპრილს, ნაშუადღევის 4 ს. იქნება გადახდილი პანაშვიდი მიხაილოვის საავადმყოფოს ეკლესიაში, რის შემდეგ (ჯიდაანის წასვენებენ სადგურზე.

ღრმად დამწუხრებულნი სახელმწიფო კონტროლის მოსამსახურენი აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ ძვირფასი ამხანაგის

დათიკო ლეჟავას

ტრაგიკულად გარდაცვალებას. პანაშვიდი იქნება გადახდილი კონტროლის კანცელარიაში, გოლოვინის პროსპექტი № 24, დღის დილის 10 ს.

თავზარდაცემულნი ძმა ივანე, დედა ეკატერინე, ძმა ვალიკო და ნარიომანი, მეუღლე ქეთევანი, შვილები: ნინა, მარგალიტა და ვერა ჩიქოვანები, ცოლის ძმა სტეპკო მიქაბერიძე, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 13 აპრილს გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე ივანეს ძე ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლათ. პანაშვიდი გადახდილი იქნება ბაკურიანში ალექსანდრე ეკლესიაში.

დაღონებულნი ბაკურიანის ს. ს. დ. მუშათა პარტიის ორგანიზაციის მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 13 აპრილს გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფასი ამხანაგის

ალექსანდრე ივანეს ძე ჩიქოვანის

პანაშვიდი იქნება ბაკურიანში ალექსანდრე ეკლესიაში.

გულ დამწვარნი ამხ. კოლია შანშიაშვილი, ცოლით და ტასო კაკაბაძისა, სიმე პავლე კაკაბაძე აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს, რომ 13 აპრილს გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

ალექსანდრე ივანეს ძე ჩიქოვანის

სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადახდილი იქნება ბაკურიანში ალექსანდრე ეკლესიაში.

საქართ. სახაზინო ტელეგრაფ-ტელეფონის უწყება ამით აუწყებს ამხანაგთ ნათესავთ და ნაცნობებთ, რომ სამშაბათს 9 აპრილს ავაზაკებთან შეტაკების დროს ვერაგულად მოკლულ იქნა მათი ძვირფასი ამხანაგი სახალხო გვარდიელი

გიორგი ზაქარის ძე ტატულოვი

გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება დღეს ნაშუადღევის 2 საათ. საკუთარ ბინიდან ვერის უბნის ქუჩა № 24.

ქ. ტფილისის მილიციის კავშირის ბიურო ამით აუწყებს ამხ. მილიციონერებს და [illegible] რომ [illegible] სამსახურის დროს ტრაგიკულად იქნა მოკლული კავშირის წევრი და პირველ სამილიციო უბნის ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე ამავე უბნის მილიციონერი მოწინავე ამხანაგი

იოსებ ეგორის ძე წიქორიძე

რომლის დასაფლავება მოხდება კვირას 13 აპრილს დილის 10 საათზე, გამოასვენებენ საკუთარი ბინიდან მახათის ქუჩა № 1. (2—1)

მე 4 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივი საქ. სოც. დემ. მ. პარტიისა აუწყებს თავის წევრებს, რომ კვირას ცამეტ აპრილს 12 საათზე მიცვალებულის სასაფლაოზე გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ამ გარდაცვალებულ ყოფილ კოლექტივის წევრის

იოსებ ბერუჩაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ფილომინე იგანეს ასული ბერუჩაშვილისა შვილითურთ აუწყებს მეგობრებს და ნათესავებს, რომ კვირას 13 აპრილს დილის 12 საათზე ხუჯაბნის სამარხში, მიცვალებულის სასაფლაოზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

იოსებ დავითის ძე ბერუჩაშვილის

სულის მოსახსენებლად. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ნინო, სიმამრი ნიკო, სიდედრი ელისაბედ კვანტალიანები. ნათლია გრიგოლ მიქაძე მეუღლით სალომეთი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

რაჟდენ ნიკოლოზის ძე კანკავას

გარდაცვალებას. დასაფლავება—დღეს საბურთალოს სასაფლაოზე. გამოსვენება—ელისაბედის ქ. № 224 დილის 9 საათზე.

ქართული კლუბი

კვირას 13 აპრილს, დილის 11 ნახ. საათზე, ბ. დ. საყვარელიძე წაიკითხავს მოხსენებას

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პრეზიდენტობის საკითხი

კამათში მონაწილეობას მიიღებენ დამფუძნებელი კრების წევრნი: ბ.ბ. დ. ონიაშვილი, ი. ბარათაშვილი, გ. ეზუგბაია, გ. ნათაძე და სხვანი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. (3—2)

ბოლშევიზმი და ევროპის სახელმწიფოები

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები რუსეთის ბოლშევიზმს მოლაპარაკებულად იწვევენ.

თანდათან არკვევენ მასთან შეთანხმების პირობებს.

რა არის ამის მიზეზი?

ბევრს ჰგონია, რომ ბოლშევიზმმა ამით დიდ გამარჯვებას მიაღწია და იმპერიალისტების ჯიუტობა გასტეხა. ნამდვილათ კი საქმე სულ სხვაგვარათ გახლავთ.

მიზეზი ბოლშევიზმთან მოლაპარაკების გამართვისა—იგივე იმპერიალისტური ზრახვებია, რომელიც ყოველთვის და ყველგან ასულდგმულებდა ევროპის კაპიტალს.

ინგლისი და ამერიკა მზათაა ბოლშევიკებს მოელაპარაკონ. საფრანგეთი და იტალია კი ამის წინააღმდეგნი არიან. პირველთა კაპიტალისტებს დიდძალი ქონება აქვთ და ამ ქონების რუსეთის დაუბრუნებლად, სიმდიდრის დასატრიალებლათ მოხმარების წადილი აქვთ ამხანაგებს. საფრანგეთს და იტალიას ეს არ შეუძლიათ, ამიტომ იგინი მხოლოდ პოლიტიკური საზომით უდგებიან საკითხს. ბოლშევიზმი (განსაკუთრებით საფრანგეთის) გასესხებული თანხის დაკარგვას უქადის და კიდევ მეტს ბოლშევიზმის გადატყორცნას თვით მათ სამფლობელოში.

აქედან წინააღმდეგობა ამ ორი ძალის, რომელთაც შეთანხმების სახელმწიფოთა შიგნით იჩინა თავი. ინგლისამერიკას არ აქვს ისეთი შიში რუსეთის ბოლშევიზმის. პირიქით იგი შესაძლებელ საქმე პლატფორმა ბაზათ მიაჩნიათ. ლენინი დემოკრატიზმისკენ იხრება. პროლეტარიატის განუყოფელ დიქტატურის ნიადაგიდან ჩამოდის და სახელმწიფოთა მართველობის ფორმებს უბრუნდება. მართალია ეს აზრი ჯერ კიდევ მოსაზრებული არაა, მაგრამ ინგლის-ამერიკას ეს იმდენათ არ აინტერესებს, როგორც აქედან გამომდინარე ეკონომიური პოლიტიკის კურსი.

ბოლშევიზმს გაუგებ თავის ნამდვილი შინაარსი დაკარგა ამ იმპერიალისტებმა მიუხედავათ იმისა, რომ იგი მართალია სოციალიზმს კი არ ქმნის ფაქტიურათ, არამედ დაშლას და ამ დამბობილის ამნების ხელის მოთხრობა აქვთ განზრახული.

რუსეთი სოციალიზმის მოსტანი კი არ არის, არამედ სოციალიზმზე მიყრუნებზე წვრილი ბურჟუა, რომელიც ძველი გლეხური ქოხიდან გამოვიდა და ახალ ევროპიულ, თუმცა წვრილ მესაკუთრეთ გადაიქცევა ლამობს.

ასეთი ქვეყანა კი მშვენიერ კაპიტალისთვის სამუშაო ნიადაგია თავის ექსპლოატაციის მიზნების განსახორციელებლათ.

აი საფუძველი იმის, რომ საიმედო გუნება შეიცვალა ინგლისის და ამერიკის ბოლშევიზმისადმი, ულმობელი ხდებიან თვით ბოლშევიკებს დიდი იმედი აქვთ ამ მოლაპარაკების. მათ უნდათ შეთვისების ტრიბუნით აქციონ ყოველი შესაძლებლობა ევროპასთან გამოლაპარაკებისა.

იმედი და სასოება ბოლშევიზმის ერთიანათ დამყარებულია დღეს არა შინაურ ძალების განვითარებაზე, არამედ დასავლეთ ევროპის რევოლუციის გაღვივებაზე. სოციალიზმს მიაყვეცს მხოლოდ დასავლეთი ევროპა—და არა რუსეთი. ამას გრძნობენ თვით ბოლშევიკები, მაგრამ ვერ ბედავენ მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ფორმულაში ჩამოთქმან ეს აზრი.

არც უნგრეთის სოციალისტური მთავრობა, არც სპარტაკების მოძრაობა გერმანიაში იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იგი დღეს იმყოფება, არ იძლევა კიდევ ფუძეთ საიმედო სოციალისტური გადატრიალებისას. პირიქით ჩამორჩენილ ქვეყნებში (რუსეთი, უნგრეთი) ბოლშევიკურ ტენდენციების იოლი გამარჯვება და უფრო განვითარებულში და ეკონომიური სოციალიზმისთვის უფრო მომზადებულში კი ასეთ გამარჯვებას დღემდეც ვერ ხედავთ, თუმცა რევოლუცია აქაც (მაგ. გერმანიაში) უფრო ადრე იფეთქა, ვიდრე უკვე განსოციალისტებულ ქვეყნებზე.

ამ ფაქტს არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს. ეს ნიშნავს, რომ ბოლშევიზმი იბადება არა სოციალიზმისათვის საკმაოდ მომზადების ნიადაგზე, არამედ მოუმზადებლობაზე. ბოლშევიზმის თესლი იძლევა ნაყოფს ნაყოფიერ უფრო გლეხთა ქვეყანაში, ვინემ პროლეტართა სამყოფში, ადრე უნგრეთში, ამ ნახევარ ფეოდალთა სამთავროში, ვინემ პროლეტარულ გერმანიაში.

ამას ხედავს თვით ლენინიც, ხედავენ ევროპის დაინტერესებული სახელმწიფოებიც. ამიტომ პირველი იხრება დემოკრატიზმისკენ და ცდილობს ამ პოზიციებზე დაუცადოს დასავლეთ ევროპაში სოციალიზმის ბედის გამორკვევას; ინგლის-ამერიკის კაპიტალისტებიც ამავე პოზიციაზე იდგნენ, სოციალიზმის ბედის გარკვევა არ სწამთ და რუსეთის გვერდით ლენინის სახით შეურიგდებიან, ვინ უწყის ვინ გამოვა აქ ბრძოლიდან გამარჯვებული?

იმ ძალთა მიხედვით, რომელიც აქ მოქმედებენ—რასაკვირველია, ინგლის-ამერიკა. რუსეთი ვერ შეარჩენს მათის ბატონობას, მათი ბატონობის მესაფლავე თვით მათი ქვეყნის პროლეტარიატია. მაგრამ იმის თქმა, თუ როდის გათხრის ეს უკანასკნელი კაპიტალიზმისთვის ღრმა საფლავს, დღეს ლღეობით კიდევ შეუძლებელია.

აი ამიტომ მიდიან შეუფერფერებლათ ინგლისის იმპერიალისტები სიტყვით არა სოციალისტურ, არსებითათ კი წვრილ ბურჟუაზიულ ლენინთან თავის ჯიბის ერთხელ კიდევ გასასქელებლად.

სარწმუნოების საკითხი და გაზეთი „საქართველო“

არა ერთხელ გვითქვამს, რომ ჩვენი ეროვნული დემოკრატები ტყუილად უწოდებენ თავის თავს „დემოკრატებს“. ეს აშკარათ დაგვანახვა იმ დავამ, რომელიც მათ ასტეხეს სარწმუნოების თავისუფლების საკითხის გარშემო. საფრანგეთში, მაგალითად, დიდი ხანია, რაც სარწმუნოების თავისუფლება განხორციელდა, მაგრამ არავის თავში არ მოსვლია იქაურ ბურჟუაზიისათვის ანარქისტობაში დაედო ბრალი.

ჩვენმა ნაციონალ-დემოკრატებმა ჯერ მაშინ ასტეხეს ერთი ამბავი, როცა პარლამენტში სამღვთოსჯულის სავალდებულო სწავლების საკითხი ირჩეოდა. სხვა საბუთი რომ ვერ მოიყვანეს, ხალხის ინტერესებით გვაშინებდნენ.

სინამდვილემ კი დაგვანახვა, რომ ხალხი დიდი ხანია მზად ყოფილა ამ რეფორმისათვის და სამღვთო სჯულის სავალდებულო სწავლების გაუქმებას ხალხის მხრით მძლავრობა გამოიწვია და არა უკმაყოფილება.

მაგრამ სამღვთო სჯულის სავალდებულო სწავლების გაუქმება მხოლოდ ერთი ნაწილია საერთო რეფორმებისა: სამღვდელოებას და ეკლესიას დღეს მრავალი სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საქმე აბარია: ახალი თიანადგიენი, ბავშვთა და სხვ. და ჩვენ ვერ გაგვიგია: როგორ შეიძლება სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას საქმეები მინდობილი ქონდეს არა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას—ეკლესიას. ეს მარტივი და ყველასათვის გასაგები აზრი ვერ გაუგია ეროვნული დემოკრატების ორგანოს, გაზეთ „საქართველო“-ს. მას ვერც ის გაუგია, რომ სარწმუნოებას არავითარი კავშირი არ აქვს მეცნიერებასთან, უბრალო ცოდნასთან. გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებული, რომელნიც სარწმუნოებას სიღრმისეულად იყენებენ და ფარისევლურად გულში ხელის ცემით გვებრძვიან, ვეჩრებით წაიკითხონ თუნდაც სახელმძღვანელოები და გაიგებენ, რომ მეცნიერება, ცოდნა სულ სხვაა და სარწმუნოება კიდევ სხვა, რომ პირველი ემყარება ფაქტებს, ხოლო მეორე უბრალო გრძნობას.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ამ ნიადაგზე დაუპირისპირდებოდ დემაგოგიას ასტეხენ ჩვენებური ეროვნული დემოკრატები. ხალხს ეტყვიან: სოციალისტები აუქმებენ ჯვარის წერას, ბავშვის მონათვლას და სხვ.

მაგრამ ჩვენ არ გვეშინია ასეთი დემაგოგიის, ხალხმა იცის, რომ ჩვენ წინ სარწმუნოებას არ ვებრძვით. ჯვრის წერაც, ნათვლაც და ყველა სხვაგვარი ღვთისმოქმედება ხელუხლებელი დარჩება, მხოლოდ სახელმწიფო მასზედ ამისთვის ფულს არ გაიღებს და არც არავის ძალას არ დაატანს, რომ მან, სურს თუ არა, მაინც ჯვარი დაიწეროს, ან ბავშვი მონათლოს.

ვიმეორებთ, ხალხმა კარგათ იცის ჩვენი მოქმედების გეზი, იცის ეროვნული-დემოკრატების საქმიანობაც. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი თავხედობა, რომელიც გაზეთ „საქართველომ“ იჩინა. ის იბეჭდავს იუსტიციის წუნდუკების წერილს, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო მოთავსებული, შესახებ იმ პროვოკაციისა, რომელსაც ქართველ მაჰმადიანებში აწარმოებენ ჩვენი მტრები, რომელნიც ავრცელებენ ხმებს: საქართველოს მთავრობა სარწმუნოებას გვიბღალავს. „საქართველო“ ამ წერილით ფიქრობს ჩვენი გამტყუნებას. ნამდვილათ კი იუსტიცია წუნდუკის წერილი ამტკიცებს მხოლოდ ერთ რამეს: პროვოკატორები ყველგან ერთნაირი ხალხია, მაჰმადიანი ბეგები და ჩვენებური თავადები მათი იდეოლოგები ეროვნულ დემოკრატებით ერთის და იმავე საქმეს აკეთებენ. ყველამ იცის, თუ რა გვიანდელია ძველი წყობილებამ

დღეს

ინგლისური პრესის ცნობით უკეთუ პრეზიდენტმა ვილსონმა შეცვლის ზეიმით ხელშეკრულება ვერ შეძლო ზავის შეკვრა, შეერთებული შტატები დაიწყებს ცალკე მოლაპარაკებას.

გერმანიის საბჭოების მეორე კონგრესზე მდგომარეობა მწვავეა, მდელვარების გაძლიერების გამო ბერლინში გამოცხადდა საომარი წესები.

ბავარიის საბჭოთა მთავრობაში მხოლოდ კომუნისტები შედიან.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარები ლონის ოლქში და ეკატერინოსლავის გუბერნიაში წინ მიიწევენ. ტუფის რაიონში და ბუგურუსლანის მიმართულებით საბჭოთა ჯარების უკან დახევა გრძელდება.

კლემანსოზე თავდამსხმელს სიკვდილით დასჯა 10 წლის კატორღით შეუცვალა.

კიევში ბოლშევიკებმა ნამთავრნევის საბჭოდან განდევნილი, ბერლინის პროცესში ცნობილი ვერა ჩებერიაკა.

[illegible]

...სეთ ტერიტორიათ ადიარა არსებული საზოგადოებანი. იმერეთის ერობამ უკვე ეს სხემა და მიიღო უფრო უფრო ტერიტორია ე. წ. კულტურულ ეკონომიური ცენტრებისა, რომელთა საზღვრებში მოჰყვა რამდენიმე საზოგადოება. ეს დადგენილება თეორიულად შეიძლება ანგარიშ გასაწევი იყოს, მაგრამ პრაქტიკულად იმდენათ დიდ უხერხულობას წარმოადგენს, რომ მისი უარყოფითი მხარეები ამ თავითვე ნათელი და ცხადი ხდება.

რამდენიმე საზოგადოების ერთად თავის მოყრა, უკვე ტრადიციულად შეთვისებული, შეჩვეული საკუთარი ცენტრების მოშლა, იწვევს ხალხში დიდ უკმაყოფილებას და ქმნის ამ ნიადაგზე ათასგვარ გაუგებრობას. ესეც რომ არ იყოს, უმთავრესი სახელმძღვანელო პრინციპი ამ შემთხვევაში უნდა იყოს ისა, რომ ხალხს დაუახლოვოთ ყველა ის დაწესებულებანი, რომელიც ასე აუცილებელია მისთვის.

ჩვენში რომ იყოს ისეთი რაიონული ცენტრები, რომლებიც აერთებს თავის გარშემო საზოგადოებათა დიდ უმრავლესობას—მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ ასეთი ცენტრები იშვიათია. ამიტომ ახალი ცენტრების გაჩენა ხდება უმეტესათ ხელოვნურათ და ეს კი ძირიანათ ეწ. ნადგილება იმ მთავარ მიზანს, რომელსაც ისახავს წვრილი ერთეული. იმერეთის მაზრაში ბევრი ისეთი ადგილებია ცენტრით დაშორებული, რომელიც ჩვენი [illegible]

...ის ამტკიცებს, რომ აფხაზეთი თავდაპირველად არასოდეს არ იყო დაკავშირებული საქართველოსთან და ამბობს, რომ საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა დაჰკარგა 1801 წ. მაშინ, როცა აფხაზეთმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა 1810 წლამდე, როდესაც შეუერთდა რუსეთის განსაკუთრებული ხელშეკრულებით.

შემდეგ გაზეთი პროტესტს აცხადებს იმ ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მოახდინა საქართველომ აფხაზეთის მცხოვრებლებზე, რაც გამოწვეულია აფხაზეთის, ამ მდიდარი რაიონის დაპყრობის სურვილით. საქართველოს წითელი გვარდიელები შეიჭრნენ აფხაზეთში ვითომდა ბოლშევიკებთან საბრძოლველათ, მაშინ, როდესაც აფხაზეთში ბოლშევიზმის სახსენებელიც არ ყოფილა.

გაზეთის სიტყვით, ქართველებმა დაატუსაღეს აფხაზეთის ნაციონალური საბჭოს წევრები, რომელნიც დღესაც თფილისის ციხეებში იტანჯებიან, აფხაზეთის სოფლები დანგრეულია საარტილერიო ცეცხლით და სხ.

შემდეგ წერილის ავტორი ბრალს სდებს საქართველოს გერმანელების მოწვევაში და პროტესტს აცხადებს ჩხეიძისათვის (როგორც საქ. წარმომადგენლისათვის) საერთაშორისო კონფერენციაზე პარიზში მონაწილეობის უფლების მინიჭების შესახებ.

ეს გაზეთი სტამბოლში გამოდის ფრანგულ ენაზე და ატარებს იმ აზრებს, რომელთა განხორციელებაც მიზნათ [illegible]

დეპეშები

(საქართველოს დემოკრ. საინფორმ. სააგენტო)

11 აპრილი

[illegible] პრესის ცნობები.

ესსენის ქალაქის რკინის გზის მუშებმა განაცხადეს, რომ თანაუგრძნობენ მაღაროების გაფიცულ მუშებს და მხარს უჭერენ საერთო გაფიცვას. მეორე მხრით კრუპის ქარხნის სოციალისტ მუშების მრავალრიცხოვან მიტინგზე ცხარე პროტესტი გამოიტანეს გაფიცვების წინააღმდეგ და დაადგინეს ორშაბათიდან განაახლონ მუშაობა. დიუსელდორფში საერთო გაფიცვებია. ტრამვაი არ მოძრაობს.

გერმანია-ავსტრიის მთავრობის სხდომაზე სახელმწიფო კანცლერმა რეინერმა ილაპარაკა გერმანიასთან შეერთებაზე.

შეტაკების სასტიკებლათ ბერლინის იმ ადგილებში, რომელიც უფრო არასიმედოა. განსაკუთრებულ წესებს ილებენ.

მიუნხენში, როგორც სჩანს, სრული სიწყნარეა. ბურჟუაზიის მიერ გამოცხადებული გაფიცვა ჯერაც არ დაწყებულა. საბჭოთა მთავრობა იმუქრება, რომ მკაცრათ დასჯის მას, ვინც ანტისაბჭოთა გაფიცვას ბურჟუაზიის გაფიცვის სასარგებლოდ.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. ახმუტის რაიონი. ბახმუტის სამხ.-დასავლ. ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ ნოვობახმუტოვკა, სკოტოვატია [illegible]

სურსათით და სხვა ქონებით. ბუდაპეშტი, აპრ. 10. მდგომარეობა მეუნხენში საბოლოოთ გამორკვეა. ძალა უფლება საბჭოთა ხელში გადავიდა, რომელიც მხოლოდ კომუნისტებისაგან შესდგება.

ინგლისური პრესის ცნობები.

კლემანსოზე თავდამსხმელს პრეზიდენტმა პუანკარემ, კლემანსოს თხოვნით, სიკვდილით დასჯა 10 წლის დაპატიმრებით შეუცვალა.

ომის განმავლობაში ბელგიის ჯარს დაუკარგავს სულ 102,882, კაცი, აქედან მოკლული და უგზო-უკვლოთ დაკარგულია 45,554, დაჭრილია 55,828 კაცი. ოკუპაციის პირველ დღეებში მშვიდობიან მცხოვრებთაგან მოუკლავთ 6000 კაცამდე. თუ ამას მივუმატებთ ჩამოყრილ ყუმბარებისაგან და უკანასკნელ შეტევის დროს დახოცილთ, მაშინ ეს რიცხვი 80,000 აღემატება.

ბერლინში დღეს გაიხსნა გერმანიის საბჭოების მე 2 კონგრესი. მდგომარეობა უფრო მწვავეა. მღელვარების გაძლიერების გამო ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა.

იტალიის არ გაუმეორებია თავისი მუქარა, რომ საზავო კონფერენციას მიატოვებს. ეს იმის მომასწავებლათ მიაჩნიათ, რომ იტალიის დაპირდნენ ფიუმეს და ადრიატის ზღვის ნაპირს. იტალიის მისწრაფება დაკმაყოფილდეს.

ხმები გავრცელდა, რომ ვილსონი ცდილობდა ევროპის დატოვებას და რომ საზავო პირობების შემუშავება შეაჩერა [illegible]

კვიზგელმა: მან ლენინა ის ზომები რომლებიც მიიღო გამგეობამ, რომ გაფიცული მოსამსახურეები ისევ დაბრუნებოდნენ სამსახურს, მაგრამ გამგეობის ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. რის შემდეგ გამგეობამ დაუწყო შტატის შედგენა და დღეს ყველა დარგებში თითქმის სავსე შტატია და მუშაობაც მოწყობილია. საბჭომ ერთხმად მოიწონა ქალაქის თავის მოხსენება. ამის შემდეგ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება სასაკლაოზე დაკლულ საქონელზე ტარიფის მომატების შესახებ და დაადგინა: მიღებულ იქნას გამგეობის მოხსენება და გადიდდეს ტარიფი იმ ნორმით, რომელიც გამგეობამ წარუდგინა. დასასრულ საბჭომ უფროს კანტროლიორათ აირჩია ი. მ. ტრაპოვსკი, რომელსაც დაენიშნა 800 მანეთი თვიურათ.

✦ დონის როსტოვში დაარსდა ქართველ ვაჭართა ამხანაგობა „ივერია“, რომელსაც აზრათ აქვს აწარმოოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა დონსა, ჩრდილო კავკასიასა, შავი ზღვის ნაპირებსა და ამიერ-კავკასიას შორის. ჯერჯერობით, როგორც გვიგეთ, ამ ამხანაგობას შეუძენია დონის როსტოვსა და მის რაიონში ლურსმანი, სახურავი რკინა, შუშეულობა და სხ.

ამჟამად ეს საქონელი (ვქვსი ვაგონი) იმყოფება ნოვოროსისკში და იმედი აქვს, რომ ჩქარა ჩამოიტანენ ფოთში, ან ბათუმში. ამხანაგობას შეუძენია აგრეთვე კახეთში ღვინო და რამდენიმე ვაგონი შაქარი ფოთში აქვს ჩატანილი, საიდანაც [illegible]

ნარკვევი სარბიო ერთეულები

[illegible]

საქართველოს ბარემო

[illegible]

ახალი ამბები

[illegible]

ჩვენი მეურნეობის [illegible]

[illegible]

[illegible]

... ამხოვრის ბინაზე შეიჭრა რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და წაართვეს 30,000 მანეთი ფულით და სხვა ძვირფასი ნივთები. გამოსვლის დროს ასტყდა სროლა, რომლის დროს მოკლულ იქნა მილიციონერი [illegible] და დაჭრეს მილიციონერი მირიანოვი. გამოურკვეველია, თუ როგორ მოხვდნენ მილიციონერები იქ,—ისინი იმ ქუჩაზე არ დარაჯობდნენ.

— **მკვლელობა.** 11 აპრილს დილის 4 საათზე კაპიტან მახარაძემ რევოლვერის ტყვიით მოკლა მოხელისე დადიანიანი.

— **ოსმალების გასვლა ყარსიდან.** თბილისში მიღებული ცნობით, ოსმალები საჩქაროდ გადიან ყარსიდან. ყარსს ამ 3 დღის განმავლობაში ინგლისელებმა დიდძალი ჯარი გაგზავნეს იქ.

— **მოქალაქეთა კრება** კვირას, 18 [illegible]

[illegible]

ქრონიკა

[illegible]

მთავრობაში

[illegible]

... ისტორიკო-საფილოლოგიო საზოგადოების, ყველა კავკასიის მუზეუმის, გარეგანიზებულ არქეოლოგიური კომისიის ქართულ უნივერსიტეტთან, ამითვის საერთო დარგებში გაერთიანებისა და 60,000 მან. [illegible] შესახებ.

— დაარსდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან სამი სახელმწიფო გამომცდელი კომისიები: საისტორიო-საფილოლოგიო, სამათემატიკო და სა[illegible].

— გადაიდოს ათი-მილიონიან ფონდიდან 16,638 მან. 1 კაპ. თბილისის № 8 გიმნაზიის მოსამსახურეთა თებერვლის და მარტის ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.

— მოწონებულ იქნას მოხსენება ფინანსთა მინისტრისა რუსეთის საგარეო-სამრეწველო დაწესებულებათა განკუთვნილებაზე საქართველოში. [illegible] თავისუფლებულ იქნას ჯარიმისაგან საქართველოს საზღვრებში მოქმედი განყოფილებანი, სააგენტოები და აგენტები, რუსეთის საკრედიტო, დაზღვევის და სხვა ვაჭრობა მრეწველობის წარმოებანი საქართველოს რესპუბლიკის ხაზინებში, სახელმწიფო გადასახადისა და ბაჟის თავის დროზე არ შეტანის გამო, რომელიც გადახდილი იყო აღნიშნულ განყოფილებების სააგენტოების და აგენტების მიერ 1918 წლის 26 მაისიდან იმ დღემდე, როდესაც უნდა მოხდეს საჩქარო შეტანა საქართველოს ხაზინაში სათანადო გადასახადების და ბაჟებისა.

პროფ. კავშირთა კონფერენციის გარშემო

პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია გუშინწინ უნდა გახსნილიყო, მაგრამ ბაქოელ დელეგატების ჩამოუსვლელობის გამო არ გახსნილა. 10 აპრილს საღამოს გაიმართა [illegible] თათბირი: თათბირს დაესწრნენ დელეგატები: ბათუმიდან, ფოთიდან, ქუთაისიდან, ტყვიბულიდან, ჭიათურიდან, გორიდან, სიღნაღიდან, თელავიდან, კახეთის რკინის გზიდან, საქართველოს სახაზინო რკინის გზიდან და თბილისის პროფ. კავშირებიდან. თათბირმა მოისმინა მოხსენება ბაქოელ პროფ. კავშირთან მოლაპარაკების შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყოველი ზომა მიღებული იყო, რომ ჩამოსულიყვნენ ბაქოდან დელეგატები, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჩამოსულან. პროვინციელი დელეგატები მოითხოვდნენ, რომ არ დაეცადათ მეტი ბაქოს დელეგატებისათვის და კონფერენცია გახსნილიყო. მეტის მოცდა არ შეეძლოთ, ამბობდნენ ისინი. თათბირმა გადაწყვიტა 11 აპრილს, დილის 12 საათზე გახსნას კონფერენცია სახალხო სახლში და იქ დაისვას საკითხი მოეცადონ თუ არა ბაქოელებს.

ხვალინდელი კრების გამო

(თბილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა საყურადღებოთ).

თბილისის ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის გამგეობის დადგენილებით, ხვალ 13 აპრილს მოწვეულ უნდა იქნას ხსენებულ დარგის მუშათა საზოგადო კრება. ამ კრებას ჩვენ ვაძლევთ დიდ მნიშვნელობას, რადგანაც მან ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოუღოს იმ არა ნორმალურ მდგომარეობას, რომელშიაც იმყოფება დღეს ხსენებული კავშირი.

კავშირის წევრებმა უკვე იციან, რომ მათ პროფესიონალურ ოჯახში არ არსებობს ერთსულოვნება. უმთავრესად ეს აიხსნება იმ პოლიტიკური მდგომარეობით, რომელშიაც ვიმყოფებით ჩვენ.

ამ კავშირში იბრძვის ორი მიმდინარეობა: პირველს შეადგენენ ის მოწინავე მუშები, რომელთაც მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნიათ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა არსებობა; მეორეთა რიცხვს კი ეკუთვნის გაერთიანებული ბლოკი ბოლშევიკებისა, დაშნაკცაკანებისა, ესერებისა და ჩვენი პარტიიდან გაძევებული უკმაყოფილო ჯგუფი, რომელიც შემოკრებილია რუსულ გაზეთ „სოციალ-დემოკრატის" გარშემო; ეს ის ელემენტებია, რომლებიც შეურიგდა საქართველოს რესპუბლიკის სიძულვილმა და რომლებიც ერთსულოვანათ ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან პროფესიონალური კავშირის ხელში ჩასაგდებათ, რომ ამ გზით მაინც ხელი შეუშალონ და ძირი გამოუთხარონ ჩვენში არსებულ წესწყობილებას. და ამას ისინი აშკარათ გაიძახიან. ამ ბლოკის წარმომადგენელმა ბ-ნმა ივანოვმა გამგეობის სხდომაზე პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენ ვებრძვით ჩვენ საქმეს, რომელიც მიგვაჩნია მუშათა ინტერესების დამცველ გზათ, და ამ გზას ივანოვი და მისი თანამოაზრენი საქართველოს რესპუბლიკის დანგრევაში ხედავენ.

როგორც მკითხველებმა იციან, ხსენებულმა ბლოკმა სხვადასხვა მახინაციებით და ჩვენი ზოგიერთი ამხანაგების გულუბრყვილობით სამუდამოს მიაღწია და გამგეობაში გაიყვანა დიდი უმრავლესობა მათი მომხრეები, რომლებიც ამ დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებენ.

თავის თავათ ცხადი იყო ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ვერ შეურიგდებოდა შეგნებული ნაწილი ჩვენი მუშებისა და მათ 16 მარტის სხდომაზე დასვეს ეს კითხვა და მოითხოვეს გამგეობის ხელახალი არჩევნები. მათი მოთხოვნილება იყო სრულიად სამართლიანი, მით უმეტეს, რომ 9 მარტს არჩეულ გამგეობაში მოჰყვნენ არა საიმედო პირები, როგორიც მაგალითად ძველი შტრეიკბრეხერი და ერთაც კავშირის ფულის გამფლანგველი. საზოგადო კრებამ საჭიროდ დაინახა გამგეობის შემადგენლობის შეცვლა და მოახდინა ხელახალი არჩევნები.

ხსენებულმა არჩევნებმა [illegible] გამოფხიზლებული დასტოვა ის ფუნქციონერები, რომელთაც კავშირი სურთ პოლიტიკური ორგანიზაციათ გადააქციონ. და აი, გამგეობიდან გაძევებული პოლიტიკანები იმავ დღიდანვე შეუდგნენ შესაფერ თანამდებობის ძიებას, რომლითაც უნდოდათ ეწარმოებინათ ბრძოლა გამგეობასთან. და ასეთ თანამდებობათ მათ აირჩიეს რწმუნებულთა საბჭო, სხვადასხვა ხრიკებით და დემაგოგიით მოახდინეს ზოგიერთი ალაგას რწმუნებულთა ხელახალი არჩევნები და კავშირის წევრებით და ტყუილებით გაიყვანეს რწმუნებულთა საბჭოს წევრებათ. ამასთანავე დადიოდნენ სხვადასხვა ქარხნებში და მუშებს ხელს აწერინებდნენ საპროტესტო ქაღალდზე გამგეობის წინააღმდეგ, ვითომ ხსენებულ გამგეობას არ სურდეს მუშებისთვის ჯამაგირების მომატება. ჯერ-ჯერობით ამ ხრიკებით მათ შეადგინეს 135 კაცის მიერ ხელმოწერილი სია, რომლითაც გამგეობას პროტესტს უცხადებენ და მოითხოვენ საჩქაროთ კრების მოწვევას და ხელახალ გამგეობის არჩევნებს.

ეს ფაქტები ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. 2 აპრილს გამგეობის მოუწვევლათ შეიკრიბნენ ეს ვითომც რწმუნებულები და წარმოადგინეს გამგეობას ულტიმატუმი, რომელშიაც თხოულობდნენ, რომ 6 აპრილისთვის გამგეობას უსათუოდ მოეწვია საზოგადო კრება, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ იწვევდნენ საზოგადო კრებას გამგეობის ნებადაურთველად. გამგეობამ 6 აპრილისთვის საზოგადო კრების მოწვევა შეუძლებლათ სცნო ტექნიკური მოსაზრებით, რადგანაც მანამდისინ ძლიერ ცოტა დრო იყო დარჩენილი კრების მოსამზადებლათ სამზადისისთვის და განუცხადა ამ ეგრეთ წოდებულ რწმუნებულთა მიერ არჩეულ კომისიას, რომ გამგეობა საზოგადო კრებას იწვევდა 13 აპრილისთვის და ამ კომისიას ხელი აეღო მათ უკანონო მოთხოვნილებაზე. მაგრამ ამ უკანასკნელმა არ ისურვა თავის მოთხოვნილებაზე ხელის აღება, რომელზედაც ძლივს გამოცხადდა 150-მდე კავშირის წევრი, ამათ რიცხვში ბევრი შეცდომით იყვნენ მოსულნი, ვინაიდან კრება გამგეობის მიერ იყო მოწვეული და რაკი გაიგეს წინააღმდეგი, კრება დასტოვეს.

ამ გარემოებამ უმრავლესობის მდგომარეობაში ჩავარდა ბლოკის ხელმძღვანელები და მიუხედავათ იმისა, რომ მათ გადაწყვეტილი ქონდათ ამ კრებაზე გამგეობის არჩევნები მოეხდინათ, და შეექმნათ მეორე კავშირი, კრების ძლიერ მცირერიცხოვანობის გამო ეს ვეღარ განახორციელეს და დაიშალნენ. ამის შემდეგ მათ პირი იბრუნეს და გამგეობას მიმართეს, რომ ისინი, როგორც რწმუნებულებისა და საზოგადო კრების მიერ არჩეული კომისია, მიეღო გამგეობას და ემუშავნა მათთან ერთად, როგორც კრების მოწვევისთვის 13 აპრილს, ისე კანდიდატთა სიის შემუშავებაში.

ჩვენ, რასაკვირველია უნდა, უკანასკნელი კითხვის საწინააღმდეგო არაფერი გვექნებოდა, რომ მათ მართლა ეგრძნოთ თავიანთი უსუსურობა, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ხსენებული კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა ჩვენი პოლიტიკის მომხრეა, რაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა 6 აპრილს მათ მიერ მოწვეულ საზოგადო კრებამ, ამ ბლოკისტებმა გამგეობაში მოითხოვეს მათი ადგილი, ამაზე თანხმობის მიცემა ჩვენის მხრივ კი ნიშნავდა იმას, რომ ჩვენი კავშირი კვლავ პოლიტიკანების ბუდეთ გადაგვექცია, ამიტომ გამგეობის მიერ არჩეულმა კომისიამ, რომელმაც მოლაპარაკება გამართა ამ ჯგუფთან, მათ უარი უპასუხა.

ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როგორ შეხედავს ამ საკითხს საზოგადო კრება. შეიძლება მან არ მოისურვოს გამგეობის ხელახალი არჩევნების მოხდენა და ეს საკითხი სრულიად მოხსნას დღიურ წესრიგიდან, მაგრამ ერთი კი აშკარაა, ამ კრების დადგენილება უნდა იყოს საბოლოო და უცვლელი.

კიდევ სხვა საყურადღებო საკითხებიც აქვს ამ კრებას გადასაწყვეტი, როგორიც არის მაგალითად მუშათა საბჭოს წევრების და ამიერ-კავკასიის კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები. ამ საკითხებსაც საზოგადო კრებამ სიფრთხილით უნდა მოეკიდოს. იქ უნდა გაიგზავნოს ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც ნამდვილად დაიცავენ როგორც მუშათა კლასის ინტერესებს, ისე მათი პოლიტიკა შეთანხმებული იქნება ჩვენში არსებულ წყობილებასთან.

ყველა ამ საკითხების ღირსეულად გადაჭრისათვის, ჩვენ მოვუწოდებთ ხსენებული კავშირის წევრებს აუცილებლად დაესწრონ ხვალინდელ კრებას.

ხ. ცხომელიძე.

მართვა-ვარჯიშობა

(26 მაისისათვის).

ქართველ ერს წინად ძლიერ უყვარდა გართობა და სხვადასხვა ვარჯიშობა. მაგალითად გურულები ადრიდანვე ამ დღეებს დიდ დღე ყოველ კვირაობით თამაშობდნენ ბურთს. ხევსური ფშაველები ხმლით ფარიკაობდნენ, მთიულები თოფის სროლაში ეჯიბრებოდნენ „ერთ ურთის", ქართლელები ყაბახში ბერიკაობდნენ. დიდი მარხვის პირველ ორშაბათს კი ყველგან დაისვამდნენ და შემდეგ ბუქნაობით ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ, მეგრელები აფხაზები მარულას მართავდნენ და ზოგჯერ ჯილდოსაც (პრიზს) იღებდნენ. ერთად თავის მოყვრის ცეკვა-თამაშში და ფეხზედი ლხინი (ფლავებით) ხომ თითქმის ყველა კუთხეში იცოდნენ. ამ ჩვეულების წყალობით მშრომელ ხალხს დღესასწაული უხაროდა — შრომის შემდეგ გართობას ეძლეოდა, [illegible], ამავე დროს თვალსა და სხეულს ავარჯიშებდა, ჯანსაღდებოდა. სამწუხაროთ ეს კარგი და ფრიად სასარგებლო ჩვეულება თითქმის გადავარდა. საჭირო კი არის მის აღდგენას ახლა ხელი შევუწყოთ. ჩვენი ხალხის გასართობი დღეს არის კრებები და სამიტინგო დღეები, მარტო ეს არ კმარა. თავისუფალმა საქართველომ უნდა მიბაძოს თავისუფალ შვეიცარიას, სადაც ხალხის გართობა-ვარჯიშობას დიდის ხალისით მისდევენ: იქ წელიწადში ერთხელ, რომელიმე ისტორიული დღის აღსანიშნავად შეიკრიბებიან ყოველ მოზრდილ დაბა ქალაქებ-სოფლებში მართავენ დიდებულ დღესასწაულს. დღესასწაული იწყება ბრწყინვალე პროცესიით, რომელსაც წინ მიუძღვის ბავშვები სიმღერით. სიმღერა იწყება ეროვნული მაცნით: „მშობლიურო [illegible] — თავისუფლების [illegible]".

სიმღერა ასე იწყება: „ძმობა, ერთობა და შეკავშირება [illegible] აძლიერებს, შეკავშირებული ერი ყოველთვის იმარჯვებს". მოდღესასწაულენი თავს მოიყრიან მინდორში, აქ მსროლელები ნიშანში სროლით ვარჯიშობენ, ერთიმეორეს ეჯიბრებიან, გამარჯვებულ მარჯვე მსროლელს ჯილდოს ეძლევა. სროლაში რამოდენიმე ასეული კაცი იღებს მონაწილეობას, მაყურებელი კი ათასობით იყრის თავს. ცხადია, ქალაქი თუ დაბა ამ დღეს დროშებით არის სადღესასწაულოთ მორთული.

შვეიცარიაში არსებობს მსროლელთა რამოდენიმე საზოგადოება. ცხადია, ეს ეროვნული სამხედრო სკოლაა. გარდა ამისა შვეიცარიაში ათასობით არის გიმნასტიკის მოყვარულთა საზოგადოება, რომელთა წევრები 50 ათას აღემატება, ეს საზოგადოებანი ერთი მეორესთან ფედერატიულად არის გაერთიანებული.

შვეიცარიაშივე იციან ბუნების წიაღში სახალხო წარმოდგენების მართვა, მონაწილეობენ არა მსახიობნი, არამედ ხალხი. მაგალითად პიესა „1653 წლის გლეხთა ბრძოლა"-ში მონაწილეობას იღებს 400 კაცი, ამ დრამის წარმოდგენა ნამდვილ სამხედრო ვარჯიშობას მოგვაგონებს, მონაწილეობენ ქვეითი ჯარი, ცხენოსანი (კავალერია) და მეზარბაზნენი (არტილერია).

თუ რა გავლენა ექნება ხალხის საკეთილდღეოთ ასეთ გართობა-ვარჯიშობას ამაზე ლაპარაკი ზედმეტია და ჩვენც რომ მივბაძოთ, ვიმეორებ, საჭირო და სასარგებლო იქნება. ამისი დღეც ახლოს არის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს ჩვენც უნდა შევეცადოთ მსგავსი რამ მოვაწყოთ, ამით ჩვენ ერს შევაყვარებთ თავისუფლებას. კმარა მარტო მიტინგების მართვა, ხალხს ცოცხალი და გულის გამართობიც სჭირია. გაზეთ ბ. ფუცხვერაშვილი თავის მომხრეებთა დასით აპირებს საქართველოს დღესას. ეს ძლიერ სასიამოვნოა და თუ სიმღერებთან ერთად (რომელიც გარეთ გაიმართება) სხვა სავარჯიშო გასართობსაც თუ მივამატებთ კიდევ უკეთესი იქნება.

ჩემის აზრით უნდა შესდგეს კომისია, რომელიც დაწვრილებით შეიმუშავებს ჩვენს სახალხო დღეობების პროგრამას.

აკ. წულაძე.

მოვალეობის მსხვერპლნი

იასონ ბობოხიძე.

21 მარტს ღამის 12 საათზე ფოთიდან ზღვით მიმავალ სახალხო გვარდიის [illegible] ქარიშხალი დაეწია... ზღვის მღელვარე ტალღებმა ნება არ მისცა მებრძოლთ ნაპირზე [illegible] გასვლისა და უკან ისევ ფოთისაკენ გამობრუნდნენ, რომ ამით ეხსნათ თავი სტიქიისაგან. მათ ფოთამდე ვეღარ მიაღწიეს. ბედმა უღალატა, შავმა ტალღებმა რამდენიმე მებრძოლი გაიტაცა შავი ზღვის უძირო ფსკერში. ამხანაგები, თავისუფლებისათვის თავგანწირულნი, მსხვერპლი გახდნენ სტიქიისა.

გურიის სახალხო გვარდიამ საუკეთესო მეომარი დაკარგა, ლანჩხუთის ს. დ. მ. პარტიის ორგანიზაციამ თავისი აქტიური ამხანაგი, მეგობრებმა და ნათესავებმა საუკეთესო თანამგრძნობი...

მშვიდობით მებრძოლო ამხანაგო! შენი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენში!

ხ. ხურგულაძე.

— —

ივანე ლუკას ძე ფოფხაძე

ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში ტიფით გარდაიცვალა ჯარისკაცი ივანე ფოფხაძე. სამხედრო ბეგრის მოსახდელათ რევოლუციის დაწყებამდე იქნა ის გაწვეული. უბრალო მეტიონნებით სავსე ადამიანი იყო ივანე ფოფხაძე. საზოგადო მუშაობა მისთვის სანატრელი საგანი იყო, და ამ სამსახურში მან ბევრიც შესძინა ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალს. სამსახურში დალია სული; დასაფლავებულ იქნა სამტრედიაში. მშვიდობით მეტიონნებით სავსე ადამიანო, შენი ხსოვნა სამარადისო იქნება შენს ნაცნობ ამხანაგებ შორის.

ეგნატე შვ.

რკინის გზაზე

ბოროტმოქმედებანი.

არ იქნა და ბოლო არ მოეღო რკ. გზის ზოგიერთი მუშა-მოსამსახურეთა ქურდობასა და სპეკულიანტობას. ბოროტმოქმედი თავს კარგათ გრძნობს, ის დაუსჯელი რჩება, ხმას არავინ სცემს. ამის გამო მცირე ნაწილს რკ. გზის დემოკრატიისას, რომელიც ყოველ ღონესა

... ამ არა ბუნებრივ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. საშუალო სასწავლებელთა საკითხი ჩვენ უნდა დავუკავშიროთ უპირველესად პირველ დაწყებითი სკოლის საკითხს, საყოველთაო სწავლის საკითხს.

არსებული საშუალო სასწავლებლების ერთი დიდი ნაწილი ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა მასწავლებელთა მომზადების სასწავლებლებათ გადავაქციოთ. ჩვენი ქვეყნის ყოველ მნიშვნელოვან კუთხეში არის გიმნაზია, რომელსაც გამოირკვევა, რამდენი ახალი მასწავლებელი დასჭირდება წლიურათ ამა თუ იმ მაზრას, ამისდა მიხედვით გადაწყდება, რომელი გიმნაზია იქნება გადაქცეული სამასწავლებლო სასწავლებლათ. ეს საქმე დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს. რადგანაც მასწავლებელთა კადრები დაგვჭირდება უახლოეს წლებში, ამიტომ საჭირო იქნება იმ გიმნაზიებში, რომლებიც სამასწავლებლო სკოლებათ უნდა გადაიქცენ, მომავალ სამასწავლო წლიდანვე უფროს კლასების პროგრამები ამ მიზნის მიხედვით იყოს შეცვლილი. მართალია, 8 კლასის მოსწავლეების საკმაოდ მომზადება ერთი წლის განმავლობაში შეუძლებელია, მაგრამ ისინი მაინც უკეთესად იქნებიან მომზადებულნი, ვიდრე დღევანდელ სახალხო მასწავლებელთა ნახევარზე მეტი, რომლებსაც 2—4 კლასის განათლების შემდეგ მხოლოდ 3—6 თვის კურსები მოუსმენიათ და ამ გზით მიუღიათ მასწავლებლის ხარისხი. სამაგიეროთ შემდეგი წლები უკეთეს მასწავლებლებს მოგვცემს.

შეიძლება სთქვან ვინმემ, რომ გიმნაზიის მოწაფეები სულ სხვა მიზნით შედიოდნენ გიმნაზიებში, სახალხო სკოლების მასწავლებლობა მათ არა ჰქონდათ აზრათ და უსამართლობა იქნება მათ გზა შეეცვალოთ და იმ მიზანს აცდენოთ, რომელსაც მათი მშობლები ისახავდნენ, როდესაც შვილებს გიმნაზიებში აბარებდნენ. მაგრამ რევოლუცია არის რევოლუცია, თუ ამისთანა მცირე-მნიშვნელოვან დაბრკოლების წინ შედრკა? თუ მშობლები რევოლუციამდის თავის შვილებს გიმნაზიაში იმიტომ აძლევდნენ, რომ სახელმწიფო სამსახურში შესასვლელათ მოემზადებინათ, დღეს ამ მიზანს ნიადაგი გამოეცალა და ჩვენი საშუალო სკოლა ვეღარ დაადგება ამ გზას. მხოლოდ ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ყველა ეს მოხდეს ნებაყოფლობით, ძალდაუტანებლათ. ამ მიზნით, ჩვენ დაგვჭირდება იმ გიმნაზიებს, რომლებიც სამასწავლებლო სკოლებათ იქნებიან გადაქცეული, ერთნაირი განსაზღვრული პრივილეგიები მივანიჭოთ, მაგალითად, ასეთი გიმნაზიები ადვილათ სახელმწიფო სასწავლებლებათ და მათში სრულიად უსასყიდლო სწავლა იყოს შემოღებული. მხოლოდ მოსწავლეების მშობლებთან თავიდანვე ის პირობა იქნება დადებული, რომ ამისთანა სასწავლებლებში სწავლის დასრულების შემდეგ ყოველს ახალგაზრდას ვალად ედება მასწავლებლათ იმსახუროს რამდენიმე წლის (მაგ. 3—4) განმავლობაში სახალხო სკოლაში. რომელსაც ამ „სამასწავლებლო ბეგარას" მოიხდის, მას შეეძლება, თუ მოინდომებს, უმაღლეს სასწავლებელში შესვლა და სწავლის განგრძობა. არა მგონია ამნაირმა წესმა ზიანი რამ მოუტანოს თვით უმაღლეს სწავლას: ჩვენი სტუდენტების ყველაზე სუსტი მხარე სწორეთ ის არის, რომ ისინი ცხოვრებას, მეტადრე ქართულ ცხოვრებას, სრულიად არ იცნობენ, მათი სწავლა ცხოვრებას დაშორებულია, განყენებულია, ამიტომ სქოლასტიური, წიგნიერული, ბუკვოიდური ხასიათი აქვს და ცხოვრებასთან პირველ შეჯახებისთანავე ისინი უმეტესათ ფანტავენ შეძენილ ცოდნის დიდს ნაწილს. ხალხის ცხოვრების გაცნობილი ახალგაზრდა, რომ შევიდეს უნივერსიტეტში, ეს დიდი დაემსახურება. გარდა მაგისა, ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს ბევრი არაფერი დააკლდებათ იმით, რომ რამდენიმე გიმნაზიის ახალგაზრდობა გიმნაზიის დასრულების შემდეგ მაშინვე არ შეუდგება უმაღლეს სწავლას: გიმნაზიათა რიცხვი ისეთი დიდია, რომ უმაღლეს სასწავლებლებს სრულიად ეყოფათ გიმნაზია დამთავრებულთა რიცხვი.

საყოველთაო განათლების გატარება შეუძლებელია მხოლოდ ცენტრის ძალებით. მის განხორციელებისათვის აუცილებლათ საჭიროა საქმეში ჩაებას ადგილობრივი თვითმართველობა. ცენტრში შემუშავდება უმთავრესი პრინციპები რეფორმისა, მისი მასშტაბი და მისი გატარების ტემპი. ამ მთავარი პრინციპების ჩარჩოებში თითოეულმა ადგილობრივმა თვითმართველობამ უნდა განახორციელოს რეფორმა თავის საზღვრებში. ამ რეფორმას აქვს ზოგიერთი მხარეები, რომლის ასრულება შეუძლებელია თვითმართველობათა ორგანოების დაუხმარებლათ. საკმაოა მოვიხსენიოთ ისეთი ძნელი და აუცილებელი საქმე, როგორიც არის, მაგ., სასკოლო ჰასაკის ბავშვთა სტატისტიკა, რომლის შესრულება შეუძლიან მხოლოდ ადგილობრივს თვითმართველობას.

ყველა აქამდის აღნიშნული საკითხები შეეხება ჩვენი სკოლების, ასე ვთქვათ, გარეგან მდგომარეობას. პარალელურათ ამ საკითხთან უნდა ხდებოდეს სკოლების შინაგანი რეფორმაც, რომელიც შედარებით უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე საყოველთაო სწავლის განხორციელება. აქ უნდა მოვიხსენიოთ სასკოლო ტიპების არჩევა, ურომლისოდაც საყოველთაო განათლების განხორციელებაც შეუძლებელია, სასკოლო პროგრამების შემუშავება, სასწავლებელთა თანდათანობის, განათლების საფეხურების საკითხის გადაწყვეტა. ამას უნდა დაემატოს სახელმძღვანელოების და ხელსაწყოების დამზადებაზე ზრუნვა, პედაგოგიური სისტემის და პედაგოგიური მეთოდების გამოჯობინება. მრავალი საკითხია რეფორმასთან გადაბმული, ზოგს მათგანს ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ზოგს დიდი, ამ საკითხების შესახებ ჩვენ მუშაობის პროცესში კიდევ გვექნება ლაპარაკი. მაგრამ უმთავრესი საკითხი, რომელიც ყველა საკითხების ცენტრში უნდა იყოს დაყენებული, საყოველთაო განათლების საკითხია. თუ ჩემი მოხსენების დებულებანი კომისიის მიერ გაზიარებულ იქნება, მაშინ ჩემი კონკრეტული წინადადებები ამნაირია:

1) ჩვენს სასკოლო რეფორმას საფუძვლად უნდა დაედოს საყოველთაო, სავალდებულო და უსასყიდლო პირველდაწყებითი სწავლის შემოღება.

2) კომისია თავის მუშაობის პირველ დღეებიდანვე უნდა შეუდგეს სასკოლო ქსელის შემუშავებას, საყოველთაო სწავლის ტემპს და სასკოლო რაიონის მასშტაბის გამორკვევას.

3) ამ საქმისათვის კომისია გამოჰყოფს მცირე კომისიას, რომელსაც დაევალება განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით პრაქტიკული მუშაკები შემოიკრიბოს ამ საქმის გარშემო, შეუთანხმდეს ყველა ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებს, რომ ყველა მათგანმა შეიმუშაოს გეგმა საყოველთაო განათლების შემოღებისა თავის რაიონში.

4) ყოველს თავის პრაქტიკულს ნაბიჯს მცირე კომისია აცნობებს განათლების კომისიას.

ლევან ნათაძე.

ხმარობს ამ სენთან საბრძოლველად გული ტკდება, რომ ზოგიერთი პირები, რომლებიც სჩადიან ბოროტებასა თავისუფლად დასეირნობენ და სამსახურშიაც იმყოფებიან. წინად ყველასგან ცნობილნი პატიოსან შრომაში რკ. გზის მემანქანენი და მათი თანაშემწენი დღეს ისე დაქვეითდნენ, რომ ქურდობაში და სპეკულიაციაში თითით საჩვენებელნი შეიქნენ. ზოგიერთი პირი იქამდინაც კი გაიტაცა ფულის სიხარბემ, როგორც ირკვევა, რომ თავიანთ სამშობლოს ღალატობენ და გზიდებიან ტფილისიდან იარაღსა და ასაფეთქებელ ნივთიერებასა აღერბეიჯანის რესპუბლიკაში. შეიძლება იმ იმედით, რომ მერე ისევ ჩვენ დაგვესხნენ თავზე და ჩაგვაგდონ კიდევ ძმათა სისხლის ღვარაში. იციან ეს თუ არა მოლაპარაკე მემანქანეებმა და მათმა თანაშემწეებმა? და თუ იციან და განგებ სჩადიან ამ ბოროტებას იმის გამო, რომ ფულები ჩაიჩხრიალონ ჯიბეში და მერე კარტში და დუქნებში გაფლანგონ, ეს კი ყოვლად დაუშვებელია და ამის წინააღმდეგ ხმა უნდა აიმაღლოს მემანქანეთა პროფესიონალურმა სექციამ და გასწმინდოს არა სასურველ ელემენტებისაგან. მაგალითისთვის მოვიყვან შემდეგ ფაქტებს: წარსულ თვეში ერთ ღამეს, როდესაც გასტეხეს ვაგონები ტფილისის სადგურზე, იმ ღამესვე დაატყვევეს „მანევრაზე“ მომუშავე მემანქანე ნიკურაძე გიორგი, მის თანაშემწე ფალცხვერია ვარლ. და კანონიერ მუშაობისთვის თვალყურის მდევნელად დანიშნული მემანქანე კირილე პანტურია. მეორე მაგალითი: 1 აპრილს ღამის სადგურის მატარებლით № 4 წავიდნენ მემანქანენი [illegible]

ს.-დემ. პარტიაში

[illegible]

მცხოვრებ პარტიულ წევრთა საზოგადო კრება. კრებას ხალხი ძლიერ დაესწრო. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ბლუშელიშვილმა და შტაბის თავმჯდომარემ ვანო ალიხანოვმა. ორთავე ორატორებმა ილაპარაკეს მომენტზე და ხაზი გაუსვეს განსაკუთრებით სოც. დემ. მ. პარტიის ღვაწლს წარსულში და აღნიშნეს თუ რა ენერგიით უნდა სწარმოებდეს მუშაობა. ნ. ხ.

ახაშის რაიონი. 4 აპრილს ახაშაში შესდგა ახაშის რაიონის სოც.-დემ. კოლექტივის კრება ნ. ბოკუჩავას თავმჯდომარეობით. დაესწრო 10 წევრი და აგრეთვე სხვა პარტიული ამხანაგებიც. პროვინციულის სახელით მოხსენება გააკეთა თავმჯდ. ნ. ბოკუჩავამ, რომელმაც გააცნო კრებას პროვ. მუშაობა. მოხსენებები გააკეთეს შემდეგ სახოვ. ორგ. წარმომადგენლებმა ყვითანის, ონტოფოს, სამიქოს, წყემის, ნაესაკოვის, ს. ახაშის, დ. ახაშის და რკინის გზის, საიდანაც გამოირკვა, რომ ზოგ პარტ. „იაჩეიკებში“ მუშაობა გვარიანად მიმდინარეობს, ზოგან კი შეფერხებულია, დამფ. კრების არჩ. შემდეგ, მაგრამ იმედი გამოითქვა, რაიონულ კოლექტ. და პროპაგანდისტების დახმარებით კვლავ ვ თავის დონეზე დაყენებისა. მიღებულ იქნა რეზოლუცია: 1) დაუყოვნებლივ გადაცხრილულ იქნას პარტ. წევრები და მოეწყოს ყველგან ცეწრი და მტკიცე „იაჩეიკები“. (მუშაობა მდგომარეობის კოლექტივებს რაიონულ კოლექტ. დახმარებით). 2) სასტიკი თვალყური ედევნოს სახ. დაწესებ. მოსამსახურე პარტ. ამხანაგებს და გაეწიოს სასტიკი კრიტ- [illegible]

მუშათა შორის

[illegible]

პროვინცია

[illegible]

ბანცხადებანი

[illegible]

ქართული ლატარია

[illegible]

ჩვენ გასწავლით გზასა...
სწრაფად დაიცალა,
ბილეთების კასა!
მხურს მუდამ ყუმდერო,
ერს სხვა ფიქრით გაროიუდას
„მიაშურე ერო,
ლატარიას ქართულს“.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის“ 29 მარტის (№ 71) ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი „მდივანის“ ხელის მოწერით ამ სათაურით: „მოთავარი სახელოსნოები“, სადაც ავტორი სწერს ჩემს შესახებ—„ქვეკოლექტივის წევრებმა და კრებამ ამხ. ძამანაშვილის საქციელი კრებაზე მიიღეს უკადრისად და უცხადებენ ამხ. ძამანაშვილს პროტესტსო“.

საქმე შემდეგში იყო: მთავარ სახელოსნოების მცირე კოლექტივის და რაიონულ გამგეობის მიერ 22 მარტს მოწვეულ რკინ. გზ. ტფილისის კვანძის ორგანიზაციების საერთო კრებაზე ამხ. ძნელაძემ გააკეთა მოხსენება სასურსათო კომიტეტის მოქმედების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომიტეტი უვარგისია და მავნებელი მუშათა ინტერესებისათვის; საჭიროა მთავარ სახელოსნოების და დეპოს მუშები ჩამოშორდნენ სასურსათო კომიტეტს და რაიონულ გამგეობის მეთაურობით შექმნან თავისი საკუთარი სასურსათო ორგანიზაცია—დასძინა ამხ. ძნელაძემ. მე ზნეობრივ ვალდებულად ჩავთვალე ჩემი თავი და მივუთითე კრებას, რომ მომხსენებლის „საშუალებანი“ ვერ განკურნავს მუშათა კლასს, ვერ იხსნის მას გაჭირვებისაგან. სასურსათო კომიტეტი არჩეულია ჩვენ მიერ, შეიძლება იქ არასაიმედო პირები ისხდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყველამ ცალ-ცალკე სასურსათო ორგანიზაციები დავაარსოთ. საჭიროა კომიტეტის წევრების გამოცვლა-გადაყენება და იქ საიმედო გამოცდილი პირების გაგზავნა.

წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველმა თვითონ წარმოიდგინოს თუ რა ნაყოფს მოუტანს მუშებს მრავალ სასურსათო ორგანიზაციების „ხუხულების“ შექმნა.

მომხსენებლის საშუალებანი სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ „არის ანარქიული“ და არა პროლეტარული და შემდეგ დავუმატე, რომ „ლენინკინელობაც“ კი ურჩევენ მუშებს ორგანიზაციების დანაწილება-დაქუცმაცებას, ვინაიდან მათ ამით სურთ უნდობლობა გა- [illegible]

X.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სადიაგნოსტიკო და არსებული ტიპით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 28, ტელეფ. 7—92.

ბიუროს მე-6 რაიონულ კოლექტივისა ს. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია

სიონის ქუჩაზე

სეილანოვის შენობაში, ღიაა დილის 1 საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ტელეფონის № 10 94.

ექიმი

გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. თელის ქ. № 41, ტელ. 9—53.

ექიმი

ლ. ი. ცაგარელი

შინაგანი სნეულებათა. იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი გ. ა. ზახრანე.

სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: თელის ქ. № 33.

ექიმი

ბესარიონი პოპოვი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

ექიმი

ი. ა. ტერ-იოვაკიმოვი

კიროჩნის ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძნელი და ხრონიკული სუსუნატი) სიფილისი და მისი შედეგები, კანის ავათმყოფობანი, „606“ და „914“ შეშხაპუნება. მამაკაც ავათმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი

კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოვეს“ პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი

ნ. ლ. ტურიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, სახებით და ქალურ სნეულებიან ავათმყოფთ დილით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

სამკურნალო კაბინეთი ექიმი

ვ. ნ. გოგიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ვენურ კლინიკისა სამხ. საქ. ა. მალინინისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606“ და „914“ შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კარგევის ქუჩა, № 11.

ექიმი

დ. ვ. ჯაფარიძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ. № 41, ტელ. № 14—60.

დოქტორი

მ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 82.

ექიმი ქალი

რ. გ. შიუკო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და ისწავება სხივებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი

ალ. გ. მაჭავარიანი.

იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ადამოვისა № 111. (მე-2 ეზოდან) ვალის ტელეფონი № 49.

ვ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახ. სახლი

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახ. წარ. მართველი წრე.

კვირას, 13 აპრილს 1919 წ. წარმოდგენილი იქნება:

გ ა მ ც ე მ ი

დრამა სამ მოქმედებად ი. გედევანიშვილისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი: ბარათაშვილი, გოგოლაშვილი, ნინონი. ს. რამიშვილი-დვალიშვილისა. ბ.ბ. რ. სალაყაია, ა. იმერელი, ა. შანშიაშვილი, ა. თავდგირიძე, სანდალა. რეჟისორი კ. შათირიშვილი.

ადგილების ფასი 5 მ.—50 კ-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

(2—1)

კვირას, 13 აპრილს დილის ათ საათზე სახაიდ „ძმურ ნუგეშში“ დანიშნულია

წლიური კრება

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისა.

განსახილველია: ანგარიშები, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

აბრეშუმის თესლი

მაქვს გასაყიდად სხვადასხვა საუკეთესო ჯიშების, ნაცნობი და ბევრი ხნით ნაცადი აბრეშუმის თესლი ყველა თეთრი ბანდეროლიანი შემოწმებული კავკასიის საბრეშუმო სადგურის მიერ. მიხაილოვის პროსპექტი № 140 ა. დუშა. (2—1).

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ეველაძიშვილის ხელმძღვანელობით.

შაბათს 12 აპრილს დირიჟორის სამოხუბის ბენეფისი

I ქ-ნი ბატერფლეი	II მეფისტოფელი
მონაწილეობენ: საბანეევა, ძორიაზოვა, სარაჯიშვილი, პოლიაევი, კურბატოვი, ლიახოვი, დემიანენკო, ეზროვი.	მონაწილეობენ: ბლუმკა, სარაჯიშვილი, ნიკოლსკი.

იაფი პური

1) იაფი პური მიეცემა მხოლოდ ტფილისის ქარხნების, ფაბრიკების, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების (ერობის, ქალაქის კოოპერატივების) მუშა-მოსამსახურეებს.

2) რათა პურის დარიგება ხდებოდეს სწრაფად და დაუბრკოლებლად და ამასთანავე თავიდან აცილებულ იქნას გრძელი რიგები, წინადადება ეძლევათ მხოლოდ პატარა დაწესებულებებს, რომლებიც მეზობლად არიან წინდაწინ შეერთდნენ და ისე გამოიწერონ პური.

3) პურის მისაღებად აუცილებელია მოსამსახურეთა და მუშების სიის წარდგენა, იმ პირთა ჩამოცვლით, რომელთაც ისინი არჩენენ ტფილისში და აგრეთვე 1919 წ. პირველი სერიის სასურსათო ბარათებისა. სიები შემოწმებული უნდა იქნას პროფესიონალურ კავშირის გამგეობის და დაწესებულებათა პასუხისმგებელ პირთა მიერ, როგორიც არიან მაგ. ხელმძღვანელები, გამგენი, უფროსები და სხვ. ყალბი ცნობების შესახებ პასუხს აგებენ ის პირნი, რომელნიც სიის ამოწმებენ ის დაწესებულებები და საზოგადოებები, რომლებსაც სიები წარდგენილი აქვთ უზუსტოდ ვალდებულნი არიან 14 აპრილამდე წარმოადგინონ ბარათებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში პური არ მიეცემათ.

4) პურის მიღებით თან უნდა ჰქონდეთ დაწესებულების მოწმობები ხელმოწერილი და ბეჭედ-დასმული პასუხისმგებელ პირთა მიერ.

5) პურის ფასი 84 მ. ფუთი დაწესებულებები აძლევენ მოსამსახურეებს პურს 2 მ. 20 კ. გირვანქას.

ტფ. ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება.

ტფილისის სახალხო სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების

ჩვეულებრივი წლიური კრება

დანიშნულია 13 აპრილს დილის 11 საათზე, ნაცვლად 27 მარტის დანიშნულ კრებისა, რომელიც არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

განსახილველი საგნები:

1) საბჭოს მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) 1918 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება, 4) 1919 წ. ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 5) არჩევა: გამგეობის წევრის მორიგეობით გასულ გ. თ. ყიფშიძის სამაგიეროდ, არჩევა საბჭოს წევრისა მორიგეობით გასულ გ. მ. ლაშიშვილის მაგიერ, სარევიზიო კომისიისა და მათის კანდიდატებისა. ამ კრებაზე რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერი იქნება. (3—2)